ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ზაზა პროკოპენკო
თანამდებობის დასახელება: ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
ფრაქციის დასახელება: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.
კომისი(ებ)ის დასახელება: იურიდიულ,სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) : ზუგდიდის N67 საარჩევნო ოლქი, მაჟორიტარი:ყულიშკარი
საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 25 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე): რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა: **26**
საკრებულოს სხდომებზე დასწრება: **20**

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა: **21**
კომისიის სხდომებზე დასწრება: **14**

დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა - 0

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა: **12**
ფრაქციის სხდომებზე დასწრება: **12**

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით (პირობებით), 30 (ოცდაათი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით, შპს „ოდიში 1919“-ზე გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

გ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

ე) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

ვ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ზ) ,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების

განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

თ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;

კ) სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის №2 საჯარო სკოლისათვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

ლ) ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

მ) სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

ნ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ო) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასებისა და დამტკიცების შესახებ;

პ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

ჟ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით ქირავნობის ფორმით შპს ,,არენასთვის“ გაცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

რ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალების ორგანიზაციის (IOCC) მიერ გამოყოფილი გრანტის (ნატურალური ფორმით) მიღების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ს) „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სატარიფო რეგულირების, მგზავრთა გადაყვანის მარშრუტების და მოძრაობის განრიგის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ტ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

ფ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

ქ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ღ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების

შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ყ) საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახვითი ხელოვნების ქანდაკების (ბიუსტის) „საქართველოს ეროვნულ გმირთა პარკის“ ტერიტორიაზე განთავსებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: 0

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -19 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 192.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1. ახალსოფელისა და ყულიშკარის დამაკავშირებელი ხიდის ჩამოშლილი ჯებირის რეაბილიტაცია (ღორღია მისაყრელი)

2.სათირქიოსა და სამაქაცარიოს უბანში გაფუჭებული სამანქანო გზის აღდგენა

3. საგვილიოსა და საროგაოს უბანი მოსახრეშია (შეუძლებელია ავტომანქანით გადაადგილება);

4. საფიფიო-სახარებავოს უბანში არსებობს გზის პროექტი და მოთხოვნაა ბეტონის საფარის დაგება

5. ყულიშკარში არსებული ორი წყლის საქაჩიდან ერთი სტიქიის (მეწყერის) შედეგად გამოსულია მწყობრიდან და მისის აღდგენა;

6.. ყულიშკარის, იპოლიტე ნანავას ქუჩის გზის საფარის დაგება.

.

8.საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:-0

შევსების თარიღი: 21.10.2026 წელი

წარდგენის თარიღი: 22.10.2026 წელი

.

ხელმოწერა: ზაზა პროკოპენკო